ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 216

"23" ივლისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „ქართლიენერჯი"-ს (ს/ნ:404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ იჯარის შესახებ N9-455-1-23227 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის "დ.ზ" ქვეპუნქტის, 127^2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის №19.203.308 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის №19.762.987 განკარგულების შესაბამისად, შეიცვალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი"-ს (ს/ნ:404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებული იჯარის შესახებ N9-455-1-23227 ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.1.3. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.3. საიჯარო ქონებაზე განათავსოს 30 (ოცდაათი) ერთეული ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენი და დაიწყოს შესაბამისი სერვისის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუმეტეს 9 (ცხრა) თვის ვადაში;".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე